

 საქართველოს საჰაერო ნავიგაცია	<b>ხარისხის პოლიტიკა</b>	ORG-QP
		ვერსია: 1.0
		ამოქ. თარიღი: 03დეკ18

საჰაერო ნავიგაციის მომსახურებების ხარისხი, მათი შესაფერისობის და საიმედოობის, ისევე როგორც შესაბამის კანონმდებლობასთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დონეა.

„საქართველოს საჰაერო ნავიგაცია“ საქართველოს საჰაერო სივრცეში უსაფრთხო, მოწესრიგებული და სწრაფი საჰაერო მოძრაობის ნაკადის უზრუნველყოფისკენ მიისწრაფის, თითოეული თანამშრომლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების პროფესიულად, ფრენის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული და კოორდინირებული შესრულებით.

ჩვენს ძირითად ფასეულობებზე დაყრდნობით, რომლებიც არის ფრენის უსაფრთხოება, მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა, ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა მიზნად ისახავს ფუნქციონირების უმაღლეს სტანდარტებამდე მუდმივ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოს უსაფრთხოების უმაღლესი დონის მიღწევა.

ვინაიდან ფრენის უსაფრთხოებასთან მიმართებაში კომპრომისი არ არსებობს, მოწოდებულნი ვართ მუდმივად ვაუმჯობესოთ გაწეული მომსახურების ხარისხი, თანამიმდევრულობა და სარგებლიანობა, შემდეგის განხორციელებით:

1. მართვის სისტემის ეფექტურობისა და მოცემული ხარისხის პოლიტიკის მუდმივი გაუმჯობესებით;
2. ყველა შესაბამის რეგულაციებთან, მოთხოვნებთან და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გათვალისწინებულ საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობით;
3. შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფით.

არ დავუშვებთ შურისძიების საფრთხეებს ან ქმედებებს, ნებისმიერი თანამშრომლის მიმართ, რაიმე საავიაციო მოვლენის ან ინციდენტის შესახებ შეტყობინებისთვის, რადგან შეტყობინებების მიზანია გაუმჯობესება და არა პიროვნებაზე ბრალის დადება.

დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ:

გოჩა მეზვრიშვილი

ხელმოწერა:  თარიღი: 1 ოქტომბერი 2019